

შპს „ჯი-თი ენოლოჯიკა“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2018 წლის 31 დეკემბერს

**ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)**

	<i>2018</i>	<i>2017</i>
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები:		
ძირითადი საშუალებები	18,063	6,553
არამატერიალური აქტივები	4,371	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	14,373	14,334
სულ გრძელვადიანი აქტივები	36,807	20,887
მიმდინარე აქტივები:		
მარაგები	622,522	280,291
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	518,246	245,826
წინასწარ გადახდილი გადასახადები	39,912	
ფული და ფულის ექვივალენტები	1,216,277	696,985
სულ მიმდინარე აქტივები	2,396,957	1,223,102
სულ აქტივები	2,433,764	1,243,989
აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		
აქციონერთა კაპიტალი:		
საწესდებო კაპიტალი	275,858	275,858
გაუნაწილებელი მოგება	779,301	294,376
სულ აქციონერთა კაპიტალი	1,055,159	570,234
მიმდინარე ვალდებულებები:		
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	268,858	648,479
მიღებული ავანსები	992,951	252,76
გადასახდელი ხელფასები	116,795	
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,378,604	673,755
სულ ვალდებულებები	1,378,604	673,755
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები	2,433,763	1,243,989

შპს ჯი-თი ენოლოჯიკა
დირექტორი:
მთ. ბუღალტერი:



**ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)**

	<i>2018</i>	<i>2017</i>
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები:		
ძირითადი საშუალებები	18,063	6,553
არამატერიალური აქტივები	4,371	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	14,373	14,373
სულ გრძელვადიანი აქტივები	36,807	20,926
მიმდინარე აქტივები:		
მარაგები	622,522	281,048
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	518,246	245,826
წინასწარ გადახდილი გადასახადები	39,912	
ფული და ფულის ექვივალენტები	1,216,277	696,985
სულ მიმდინარე აქტივები	2,396,957	1,223,859
სულ აქტივები	2,433,764	1,244,785
აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		
აქციონერთა კაპიტალი:		
საწესდებო კაპიტალი	275,858	275,858
გაუნაწილებელი მოგება	779,301	318,524
სულ აქციონერთა კაპიტალი	1,055,159	594,382
მიმდინარე ვალდებულებები:		
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	268,858	615,452
მიღებული ავანსები	992,951	34,951
გადასახდელი ხელფასები	116,795	
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,378,604	650,403
სულ ვალდებულებები	1,378,604	650,403
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები	2,433,763	1,244,785

შპს ჯი-თი ენოლოჯიკა

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



**სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)**

	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი
მიმდინარე ოპერაციები	
შემოსავალი	4,374,393
რსო	(3,480,712)
მთლიანი მოგება	893,681
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	(16,838)
ადმინისტრაციული ხარჯები	(337,976)
საპროცენტო შემოსავლები	6,523
საპროცენტო ხარჯები	(6,536)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	66
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(53,972)
ასოცირებული კომპანიების ზარალის/მოგების წილი	
მოგება გადასახადამდე	484,947
მოგების გადასახადი	(21)
წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან	484,926
წლის მოგება	484,926
სხვა სრული შემოსავალი	
სულ წლის სრული შემოსავალი	484,926

შპს ჯი-თი ენოლოჯიკა

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



**ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)**

	საანგარიშგებო პერიოდი 2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	535,312
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(16,020)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	519,292
სავალუტო კურსის ეფექტი	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	696,985
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	<u>1,216,277</u>

შპს „ჯი-თი ენოლოჯიკა“

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს „ჯი-თი ენოლოჯიკა“

1. შპს ჯი-თი ენოლოჯიკა

შპს ჯი-თი ენოლოჯიკა „ (406132055) წარმოადგენს 2014 წლის 18 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, კომპანიის მისია დღიდან დაარსებისა არის ქართულ ღვინის კომპანიებს მაწოდოს ევროპული ხარისხის პროდუქტი და მომსახურება. ძირითადი საქმიანობა მოიცავს ღვინის დამხმარე საშუალებების იმპორტს და მიწოდებას, ღვინის წარმოების დანადგარების იმპორტს და მიწოდებას, კონსულტაციებს და ტექნიკურ დახმარებას. კომპანიის სტრატეგია იმთავითვე ითვალისწინებდა ეტაპობრივ ზრდას, სტაბილურ და მდგრად განვითარებას. თუ კი ავიღებთ კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებს დღიდან დაფუძნებისა, ნათელია რომ ჯი თი ენოლოჯიკა იზრდება სტაბილურად, რაც იმის ნიშანია რომ ასრულებს საკუთარ მისიას და მიჰყვება დასახულ სტრატეგიას.

გარდა ფინანსური მაჩვენებლებისა, იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა კომპანიაში. აღსანიშნავია, რომ კომპანია საკუთარ თანამშრომლებს უქმნის ყველა პირობას ზრდისა და განვითარებისთვის. მათ შორის, უზრუნველყოფს პერსონალის სისტემატურ პროფესიულ ტრეინინგებს უცხოეთში, უფინანსებს ენის კურსებს და უზრუნველყოფს სამედიცინო დაზღვევას.

კომპანიისთვის განვითარების შემდეგი ეტაპები მოიცავს სამოქმედო არეალის გაზრდას, როგორც საქმიანობის ასევე გეოგრაფიული არეალის მიხედვით. 2019-2020 წლის განმავლობაში კომპანია გეგმავს გადადგას ნაბიჯები საკუთარი წარმოების დაწყების მიმართულებით და ასევე განახორციელებს პირველ ექსპორტს მეზობელ ქვეყნებში.

პარტნიორები:

51%	წილის მმართველი შპს ჯი-თი გრუპი (ს.კ 200119923)
46%	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კონსულენტე ენოლოჯიკა, 8156004F5731EABD0E77 /იტალია/
3%	კოსტანტინო მესხი, 65109000175 /ორმაგი მოქალაქე საქართველო/იტალია
100%	

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია:

დირექტორი: გიორგი აბუანდაძე , პ.ნ 38001007006

მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართია თბილისის ბერი გაბრიელ სალოსის 48ვ და ადგილმდებარეობა აღმაშენებლის 216

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2017 წლის 1 იანვრისთვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2017 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

მოცემული ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

	31 დეკემბერი 2018
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766
ლარი/1 ევრო	3.0701

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
საოფისე აღჭურვილობა	5 წელი
არამატერიალური	10 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 10 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამას.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალსო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები

ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე,

შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. საწარმო მარაგის ჩამოწერას საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.10 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

2.11 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს

საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებები არ ყოფილა დაგირავებული.

	სატრანსპორტო საშუალება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2018	10,450	2,030	12,480
შესყიდვა		15660.12	15660.12
რეალიზაცია	-		
ღირებულება 31 დეკემბერი 2018	10,450	17,690	28,140
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2018	-5,225	-702	-5,927
ცვეთის ხარჯი (პერიოდის ცვეთა)	-1915.83	-2234.52	-4,150
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-		
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	-7,141	-2,936	-10,077
წმინდა საბალანსო ღირებულება :			
31 დეკემბერი 2018წ	3,309	14,754	18,063

4. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივი	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2018		
შესყიდვა	4948.37	4948.37
რეალიზაცია		
ღირებულება 31 დეკემბერი 2018	4,948	4,948
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2018		
ცვეთის ხარჯი (პერიოდის ცვეთა)	-577	-577
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	-577	-577
წმინდა საბალანსო ღირებულება :		
31 დეკემბერი 2018წ	4,371	4,371

5. სხვა გრძელვადიანი აქტივები

2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სხვა გრძელვადიანი აქტივების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სხვა საგადასახადო აქტივი	14 373	14 373
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	14 373	14 373

6. მარაგები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
სარეალიზაციო საქონელი	622 309
საწვავი	213
სულ	622 522

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები :

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები	518 246
წინასწარ გაწეული ხარჯი	39 912
სულ	558 158

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
ფული ბანკში (ლარი)	1 123 788
ფული ბანკში (ევრო)	92 489
სულ	1 216 277

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულებები	268 858
მიღებული ავანსები	992 951
გადასახადი ხელფასები	116 795
სულ	1 378 604

10. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით.

11. შემოსავალი

შემოსავალი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2018

	31.12.2018
საქონლის რეალიზაცია	4 374 393
სულ	4 374 393

12. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018
შრომის ანაზღაურება	249810.3
საიჯარო ქირა	1017.0
კომუნიკაციის ხარჯები	1519.7
საკანცელარიო ხარჯი	119.8
სხვა საერთო ხარჯი ტენდერი	1121.9
დაზღვევა	416.0
მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯი	580.3
კომპიუტერის ხარჯები	4001.2
საკონსულტაციო ხარჯები	4067.8
ცვეთა და ამორტიზაცია	4727.7
ა/მ პარკირების ხარჯები	3.8
იურიდიული, საკონსულტაციო, მთარგმნელობითი ხარჯი	1986.7
სხვა საგადასახადო ხარჯი	194.9
მიწის ნაკვეთის ხარჯი	35887.0
სხვა საერთო ხარჯი	19191.9
საბანკო ოპერაციის ხარჯი	7423.7
წარმომადგენლობითი ხარჯი	5906.9
სულ	337 976

13. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2018 წელს განხორციელებული ტრანზაქციები მოცემულია ქვემოთ:

საქონლის /მომსახურების შეძენა:

სხვადასხვა დაკავშირებულ საწარმოსთან	7 467
<u>სულ</u>	<u>7 467</u>

14. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულება არსებობს.

15. ბალანსის შემდგომი მოვლენები . საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს „ჯი-თი ენოლოჯიკა“
დირექტორი:
მთ. ბუღალტერი

